საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №26-ი/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 15 მარტის №26-ი საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 2 აპრილს №112/26-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 13 მაისის №26-ი/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის საფუძველზე, ხუთჯერ მიმართა შუამდგომლობით -- -- სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად მისი არაერთი მცდელობისა, სასამართლოს წარდგენილ შუამდგომლობაზე რეაგირება არ მოუხდენია, რაც მისი შეფასებით წარმოადგენს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წლის 3 ივნისს, -- -- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- პრობაციის ბიუროს უფროსმა -- -- და ითხოვა -- -- მიმართ დანიშნული პირობით მსჯავრის გაუქმება და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულება. შუამდგომლობის წარდგენის საფუძველი გახდა -- -- მიერ პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევა.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2019 წლის 6 ივნისის №-- განჩინებით დაკმაყოფილდა -- პრობაციის ბიუროს უფროსის -- -- შუამდგომლობა.

გაუქმდა -- -- მიმართ -- -- სასამართლოს 2014 წლის 4 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და აღსრულდა დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 10 ივნისის №-- წერილით, მსჯავრდებულს გაეგზავნა -- -- სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განჩინების ასლი.

2019 წლის 1 აგვისტოს, -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და ითხოვა -- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2019 წლის 6 ივნისის განჩინების გაუქმება, რაზეც გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო ეთქვა უარი, სააპელაციო საჩივრის განსახილველად ზედა ინსტანციის სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე.

2020 წლის 14 სექტემბერს (წერილის კანცელარიაში რეგისტრაციიის თარიღი) მსჯავრდებულმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს და ამჯერად ითხოვა -- -- სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 21 სექტემბრის წერილით, მსჯავრდებულ -- -- უარი ეთქვა შუამდგომლობის განხილვაზე. მსჯავრდებულს განემარტა, რომ მის მიერ შუამდგომლობაში წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოადგენდა -- -- სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განაჩენში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის საფუძველს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 13 მაისის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 15 მარტის №26-ი საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და მასთან დაკავშირებულ პრაქტიკას.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში

ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, §18; *Kart v. Turkey*[GC], §68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ: ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას; ბ) შეასწოროს პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები; გ) დააზუსტოს და გაანაწილოს საპროცესო ხარჯები; დ) გადაწყვიტოს მტკიცებულებათა საკითხი; ე) დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი; ვ) შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდა, რომ 2020 წლის 14 სექტემბერს (წერილის კანცელარიაში რეგისტრაციიის თარიღი) მსჯავრდებულმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს და ითხოვა -- -- სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განჩინებაში ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა, რაზეც -- -- სასამართლოს 2020 წლის 21 სექტემბრის წერილით, ეთქვა უარი შუამდგომლობის განხილვაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე საფუძველი, რომელიც მიუთითებს მოსამართლის მხრიდან საპროცესო ვადის არსებითი დარღვევის ან საკითხის არაგონივრულ ვადაში განხილვის ფაქტზე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ

სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[12] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №26-ი/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი